ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302217813**
თარიღი: **27/06/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ დაზუსტებულ კორექტირებულ განმარტებით ბარათს 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N754 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით (ტენდერის შედეგად) პროექტის ღირებულება შემცირდა 195627 ლარით და განისაზღვრა 1198888 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით 1186899 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 11989 ლარი. შემცირდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიცირების პროექტი 167388 ლარით და განისაზღვრა 1488982 ლარით; მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით 1474092 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი 14890 ლარით.

სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოიყო 1797277 ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტით 1779304 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 17973 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 6 მაისის N787 განკარგულებით შესული ცვლილებით ქ.ლანჩხუთში დუმბაძის, წმ.ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა (ტენდერის შედეგების გათვალისწინებით) შემცირდა 91250 ლარით და განისაზღვრა 2499995 ლარით. მათ შორის, სახელმწიფო ფონდით 2374994 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 125001 ლარი. ქალაქ ლანხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავს რეაბილიტაციაზე გამოიყო 145777 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით 138488 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 7289 ლარი,

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართება 18000 ლარი, სულ პროექტის ღირებულება განისაზღვრა 163777 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 6 მაისის N786 განკარგულებით შესული ცვლილებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 500000 ლარი აღნიშნული თანხა მიიმართება დანართი N1 შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა გამოყოფილი ლიმიტის გათვალისწინებით დაფინანსება გაიზარდოს 242798,12 ლარით, საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე მიიმართოს 195254 ლარი; მ.შ (საქართველოს მთავრობის N13, N27, N147 განკარგულებით) ნაშთის ხარჯზე 162734,15 ლარი და N51 განკარგულებით გამოყოფილი 32519,85 ლარი. (ხაჯალიის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია და ნიგიოთის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია)

ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლზე ორი ერთეული სათვალთვალო კოშკურის მოსაწყობად გამოიყოს 75408 ლარი. ასევე აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 17000 ლარი. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს კაპიტალური გრანტით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით) 92408 ლარის ფარგლებში.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 11500 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი გაიზარდოს 8500 ლარით და საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯი გაიზარდოს 3000 ლარით.

სუბსიდიის მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით. ქალაქის შემოსასვლელის კეთილმოწყობისათვის გამოიყოს 22000 ლარი.

განათლების ღონისძიების ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების 1040 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 7208 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდიის მუხლი 8248 ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის არაფინანსური აქტივების 25000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 25000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზდელო ცენტრის წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლის 65000 ლარით შემცირების ხარჯზე 65000 ლარით გაზიარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების

საქონელი და მომსახურების მუხლის 10000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 10000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 9000 ლარით შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 9000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის (ორგ.კოდი 02 07) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება ტრანსპორტის ხარჯი გაიზარდოს 4000 ლარით. წყლის სისტემის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 12000 ლარით და შტატგრაეშე მომუშავეთა ანაზღაურება 20000 ლარით. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 72500 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ. კოდი 02 03 01 01) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 11500 ლარით. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება (ორგ.კოდი 03 02) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გაიზარდოს 10000 ლარით. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დაფინანსება დამატებით გაეზარდოს 130000 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 14080 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 14080 ლარით. დასუფთავება და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლის 100000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 94000 ლარით, არაფინანსური აქტივები 6000 ლარით. სასაფლაოს მოვლა პატრონობის ხარჯი (ორგ.კოდი 02 06 05) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 18800 ლარით და შტატგარეშე მოსამსახურეთა მუხლი 43614 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 03 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 12040 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 12040 ლარით. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა განვითარების (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 12000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლის 74414 ლარით. წყლის სისტემის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 02 02) საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 3000 ლარით.

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“ სუბსიდირების მუხლი გაიზარდოს 25000 ლარით.

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით.

ბავშვთა ადრეული განვითარების, ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვე/ პროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით.

ზემოთ აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდება თავისუფალი ნაშთის 157070 ლარის ოდენობით და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმის 98000 ლარით ზრდის ხარჯზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

დანართი N1

N	სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის ჩამონათვალი	ჩასატარებელი სამუშაოები	სავარაუდო ღირებულება
1	აკეთი-გაგურის გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები	მოსაწყობია ნაპირსამაგრი და გასამაგრებელია ხიდის ფრთები სიგრძით 130 მ. სამ იარუსიანი	191050
2	ლესა-ჭინათის გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები	მოსაწყობია ნაპირსამაგრი სიგრძით 72 მ. სამ იარუსიანი	94900
3	არჩეული-ნინოშვილის გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობა, მილხიდების და ხიდის რეაბილიტაცია	მოსაწყობია ნაპირსამაგრები შესაკეთებელია 2 მილხიდი და ხიდის ფრთები მოსაწყობია 2 მილხიდი d=100 სიგრძით 10 მ. ყორე ქვის გაბიონი 42 გრძ.მ ოთხ იარუსიანი რკ.ბეტონის არხი 30 გრძ.მ.	88785
4	სოფ. ჯუნმერეში ნაპირსამაგრი სამუშაოები	მდ. ორაგვისღელეზე ხიდთან მოსაწყობია ნაპირსამაგრი სიგრძით 46 მ. 4 იარუსიანი	80554
5	სოფ. ომფარეთში კვარაცხელიას სახლთან განვითარებული მეწყერის შემაკავებელი ღონისძიებები	მოსაწყობია ჩამონადენი წყლების შამაკავებელი ღონისძიება რკ. ბეტონის არხი 68 გრძ.მ ცხაური 6 გრძ.მ. ეკლის ხის გაბიონი 10 გრძ.მ.	13027
6	წყალწმინდაში ხიდთან წყალშემკრების მოწყობა და გზის აღდგენა	მოსაწყობია რკ. ბეტონის სანიაღვრე არხი სიგრძით 40 მ. და წელის გადამყვანი ხევში 100მ. მოსაწყობია გზისპირა კედელი 40 გრძ.მ.	31684
ჯამი			500000